საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/294 " 24 " დეკემბერი 2018 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

„მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესისა და საკვალიფიკაციო საგამოცდო პროგრამის დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 19 მარტის №1/152 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. „მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესისა და საკვალიფიკაციო საგამოცდო პროგრამის დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 19 მარტის №1/152 გადაწყვეტილებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და გადაწყვეტილებით დამტკიცებული „მოსამართლეობის საკვალიფიკაციო საგამოცდო პროგრამის" (დანართი 2):

ა) IV ნაწილს დაემატოს შემდეგი შინაარსის თემა VIII:
„თემა VIII. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი.";

ბ) VIII ნაწილის თემა II ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„თემა II. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი (მუხლები 1-41; 200-314).";

გ) IX ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ნაწილი IX. ადამიანის უფლებების შესახებ საერთაშორისო აქტები და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები
თემა I. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია.
თემა II. საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ.
თემა III. საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ და მისი ფაკულტატური ოქმი.
თემა IV. ევროპის კონვენცია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ და მისი დამატებითი ოქმები, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მიერ მიღებული შემდეგი გადაწყვეტილებების მიხედვით:
ა) ასანიძე საქართველოს წინააღმდეგ;
ბ) იდენტობა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ;
გ) მირზაშვილი საქართველოს წინააღმდეგ;
დ) სარიშვილი-ბოლქვაძე საქართველოს წინააღმდეგ.

თემა V. საერთაშორისო მართლმსაჯულების სასამართლოს სტატუტი.

თემა VI. გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია.

თემა VII. გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციით დამტკიცებული „სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის ძირითადი პრინციპები“ (1985 წელი).

თემა VIII. მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები (2002 წელი).

თემა IX. მინსკის კონვენცია სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ (1993 წლის 22 იანვარი).

დამატებით, სისხლის სამართლის სპეციალიზაციისათვის:

თემა I. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდება (რომის სტატუტი).

თემა II. გაეროს კონვენცია „წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ“.

თემა III. ევროპული კონვენცია მსჯავრდებულ პირთა გადაცემის შესახებ.

თემა IV. ევროპის კონვენცია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ და მისი დამატებითი ოქმები, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მიერ მიღებული შემდეგი გადაწყვეტილებების მიხედვით:

ა) შამაევი და 12 სხვა პირი საქართველოსა და რუსეთის წინააღმდეგ;

ბ) ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ;

გ) ღავთაძე საქართველოს წინააღმდეგ;

დ) მინდაძე და ნემსიწვერიძე საქართველოს წინააღმდეგ;

ე) ბეღელური და სხვები საქართველოს წინააღმდეგ;

ვ) აშლარბა საქართველოს წინააღმდეგ;

ზ) ქართველიშვილი საქართველოს წინააღმდეგი;

თ) ქიტიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ;

ი) ჭაჭაშვილი გერმანიის წინააღმდეგ;

კ) ჯალო გერმანიის წინააღმდეგ;

ლ) არმან დე სილვა დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ;

მ) ფ.ჯ. შვედეთის წინააღმდეგ;

ნ) ნაჩოვა და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ;

ო) ბოუიდი ბელგიის წინააღმდეგ;

პ) ლერმიტე ბელგიის წინააღმდეგ.

დამატებით, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციისათვის:

თემა I. ევროპის სოციალური ქარტია.

თემა II. ჰააგის კონვენცია ბავშვთა საერთაშორისო მოტაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ.

თემა III. უცხო სახელმწიფოთა საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შესახებ ნიუ-იორკის 1958 წლის კონვენცია.

თემა IV. ევროპის კონვენცია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ და მისი დამატებითი ოქმები, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მიერ მიღებული შემდეგი გადაწყვეტილებების მიხედვით:

ა) საფეხბურთო კლუბი „მრეტები“ საქართველოს წინააღმდეგ;

ბ) ჯუღელი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ.

გ) კლაუს და იური კილაძეები საქართველოს წინააღმდეგ;

დ) ნ.წ. და სხვები საქართველოს წინააღმდეგ;

ე) გ.ს. საქართველოს წინააღმდეგ;

ვ) საღინაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ;
ზ) ჯიშკარიანი საქართველოს წინააღმდეგ;
თ) ბარბულესკუ რუმინეთის წინააღმდეგ;
ი) ბაკა უნგრეთის წინააღმდეგ;
კ) ევანსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ;
ლ) მეჯლის ისლამსკე ზაჯედნიცე ბრსკო და სხვები ბოსნიისა და ჰერცოგოვინის წინააღმდეგ;
მ) კარაქსონი და სხვები უნგრეთის წინააღმდეგ;
ნ) ტავარეს დე ალმეიდა ფერნანდესი და ალმეიდა ფერნანდესი პორტუგალიის წინააღმდეგ;
ო) ფაბრისი საფრანგეთის წინააღმდეგ;
პ) ბოჩანი უკრაინის წინააღმდეგ.“.

2. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი